პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 15 აპრილი, 1944 წ. № 77 (7021). ფასი 20 კაპ.

ბოლშევიკური პრესის დღისათვის

ახლოვდება ბოლშევიკური პრესის დღე. 5 მაისს ლენინურ-სტალინურ „პრავდას“ სახელოვანი არსებობის 32 წლისთავი უსრულდება. ამ ტრადიციული დღესასწაულისათვის მზადება უკვე ფართოდ ჩაღდება მთელ ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა პრესა ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღია. იგი შექმნილია ბოლშევიკური პარტიის გენიალური ფუძემდებლების ლენინისა და სტალინის მიერ. საბჭოთა პრესის მართალი სიტყვები რაზმავენ მილიონობით მშრომელებს, ალაგზნებენ მათ სახელოვანი საქმეებისათვის და უძლიერებენ მტერზე გამარჯვების ურყევ რწმენას.

სამამულო ომმა ახალი სერიოზული ამოცანები დააყენა ჩვენი პრესის წინაშე. გაზეთების მუშაობაც სამამულო ომის ინტერესების შესაბამისად გარდაიქმნა. გაუმჯობესდა მათი ხარისხი. გაზეთები უფრო ოპერატიულნი გახდნენ. ამაღლდა მათი ბრძოლისუნარიანობა. საბჭოთა პრესის მუშაკებმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ერთხელ კიდევ გვიჩვენეს, რომ ისინი სოციალისტური სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულნი არიან. მათი მგზნებარე სიტყვა ლაჯვარივით ესობა მტერს. ბოლშევიკური პრესის ბევრმა მუშაკმა ფრონტზე იარაღით ბრძოლაშიც გამოიჩინა თავი როგორც შეუდრეკელმა პატრიოტმა.

მაგრამ რა წარმატებაც უნდა ჰქონდეს, საბჭოთა პრესა მიღწეულით როდი კმაყოფილდება. პრესის მუშაკები მოწოდებულნი არიან დაუცხრომლად აუმჯობესონ გაზეთების ხარისხი, ფართოდ გააშუქონ საბჭოთა ადამიანების გმირული ღონისძიებანი ფრონტის დასახმარებლად, უჩვენონ წითელი არმიის უმაგალითო ბრძოლა მტრის წინააღმდეგ და მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თავდადებული მუშაობა ზურგში. ჩვენი შესანიშნავი დღეების ყველა აქტუალურმა საკითხმა პრესის ფურცლებზე ფართო გამოხატულება უნდა ჰპოვოს.

განსაკუთრებით დიდია ბოლშევიკური პრესის როლი ახლა, წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევის ვითარებაში. ჩვენი სახელმწიფოს დასავლეთი საზღვრის ასეული კილომეტრები უკვე გათავისუფლებულია მტრისაგან — საბჭოთა მებრძოლები პრუტთან მივიდნენ, გადალახეს იგი და ბრძოლებს რუმინეთის ტერიტორიაზე ეწევიან. რუმინეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან ჩვენს სახელმწიფო საზღვარზე წითელი არმიის გასვლას საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებს. მალე მთელი ჩვენი ტერიტორია სავსებით გაიწმინდება ჰიტლერელი ავაზაკებისაგან. ბოლშევიკური პრესის ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მთელი ჩვენი ძალების მობილიზაციას, მათ მაქსიმალურად გამოყენებას ვერაგი მტრის სრული განადგურებისათვის.

„ახლა გამარჯვება ახლოა,—ამბობს ამხანაგი სტალინი, — მაგრამ მის მოსპოვებლად საჭიროა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე“.

დიდი ბელადის შითითებათა განუხრელად განხორციელება პრესის მუშაკებისაგან მოითხოვს კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად გააშუქონ გზეთში სამამულო ომის ვითარება, მიაღწიონ მეტ ოპერატიულობას, სწერონ მომზიდველად, მკაფიოდ, ცოცხალი ენით, დარაზმონ გაზეთების ირგვლივ კორესპონდენტები, აქტივი, იმუშაონ მათთან, ბოლომდე მიჰყვნენ ყოველ შენიშვნას, ყოველ წერილს, წაახალისონ საუკეთესოდ მომუშავენი, გასწიონ ომიანობის დროის სტახანოველთა მდიდარი გამოცდილების ფართო პოპულარიზაცია, იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, სოციალისტური დოვლათის დაცვისათვის. ფართო ადგილი უნდა დაეთმოს გაზეთის ფურცლებზე კრიტიკას და თვითკრიტიკას.

ჩვენი ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები წარმატებით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს მათს მუშაობაში ადგილი არ ჰქონდეს ნაკლოვანებებსაც. მაგალითად, ბევრი რაიონული გაზეთი ბეჭდავს გრძელ-გრძელ წერილებს, ყურადღებას არ აქცევს გაფორმებისა და ბეჭდვის ხარისხს. გაზეთის ზოგიერთი მუშაკი ნაკლებად იწუხებს თავს იმისათვის, რომ კარგად, გულდასმით დაამუშაოს წერილი, გახადოს იგი საკითხავად მიმზიდველი და მებრძოლი. გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ ხშირად მეთაურ წერილებს კი არ სწერენ, ცენტრალური ორგანოებიდან გადაიწერენ ხოლმე და წყაროსაც კი არ უჩვენებენ. ზოგან ყურადღებას არ აქცევენ მართლწერას. ენობრივად გაუმართავი ფრაზები გვხვდება, მაგალითად, ბოლნისის, კასპის და ჩხარის რაიონული გაზეთების ფურცლებზე.

ძირეული პრესა — კედლის გაზეთები სისტემატურ მზრუნველობას და დახმარებას საჭიროებენ. კარგი კედლის გაზეთები გამოდის იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები მზრუნველობას, ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევენ სარედაქციო კოლეგიებს. მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის პარტიული შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არა, სისტემატურად იხილავს კედლის გაზეთების მუშაობის საკითხს. ამიტომ იქ ძირეული პრესაც მოწოდების სიმაღლეზე დგას. შეიძლება ბევრი დავასახელოთ ასეთი ფაქტი. მაგრამ არის შემთხვევები, როცა კედლის გაზეთებს სათანადოდ არ ეხმარებიან, არ ხელმძღვანელობენ. ამიტომ არის, მაგალითად, თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის კედლის გაზეთი თავის დროზე რომ არ გამოდის, სათანადო ყურადღება არ ექცევა მისი გაფორმების საკითხს, აქტივი მის გარშემო არ არის დარაზმული.

საჭიროა გადაჭრით გავაძლიეროთ და გავაუმჯობესოთ ძირეული პრესისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება.

ბოლშევიკური პრესის დღისათვის მზადება ფართოდ ჩაღდება. სამტრედიის რაიონის პრესის მუშაკებმა საგაზაფხულო თესვის უკეთესად გაშუქების მიზნით სოციალისტური შეჯიბრება წამოიწყეს და თავის მხრივ გამოიწვიეს მახარაძის რაიონის პრესის მუშაკები. ამ ინიციატივას ფართოდ უნდა გამოეხმაურონ სხვა რაიონების პრესის მუშაკები.

საბჭოთა საქართველოს ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებმა, რომლებიც ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ აღზარდა დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, ყველაფერი უნდა გააკეთონ მათ წინაშე მდგომი საპატიო და პასუხსაგები ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. ამით გავაძლიერებთ დახმარებას ფრონტისადმი, წითელი არმიისადმი, რომელიც დიდი სტალინის უმაღლესი მთავარსარდლობით ძლევამოსილ შეტევას ანვითარებს, ანადგურებს ვერაგ მტერს და აახლოებს ფაშისტი დამპყრობლებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის სრულ განთავისუფლებას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატი და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 14 აპრილს ღამით მძიმე ოპერაციის შემდეგ კიევში გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი და წითელი არმიის ერთ-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი, არმიის გენერალი ნიკოლოზ თევდორეს-ძე ვატუტინი, რომელიც სარდლობდა უკრაინის 1-ლ ფრონტს.

ამხ. ვატუტინის სახით სახელმწიფომ დაჰკარგა ერთ-ერთი უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდა სარდალი, რომელიც დაწინაურდა სამამულო ომის მსვლელობაში.

არმიის გენერალ ნ. თ. ვატუტინის დაკრძალვა შესდგება ქ. კიევში.

არმიის გენერალ ნ. თ. ვატუტინის ხსოვნა უკვდავყოფილ იქნება მისთვის ქ. კიევში ძეგლის აგებით.

საგაზაფხულო ხვნის მიმდინარეობა კოლმეურნეობებში

საქმიწყსახკომის 10 აპრილის ცნობებით

რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით
		ბოგდანოვკა	1,4
აფხაზეთის ასსრ	68,4	ახალციხე	81,5
აჭარის ასსრ	30,1	ადიგენი	64,8
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი	44,7	ასპინძა	100,5
ობაშა	95,6	ხაშური	59,3
ცხაკაია	73,2	ქარელი	43,6
გეგეჭკორი	79,1	გორი	68,9
ზუგდიდი	84,3	კასპი	77,8
ხობი	97,3	ბორჯომი	21,6
წალენჯიხა	67,4	წალკა	22,3
ჩხოროწყუ	59,5	დუშეთი	61,7
მახარაძე	75,8	თეთრი წყაროო	85,2
ლანჩხუთი	63,6	თიანეთი	37,2
ჩოხატაური	89,6	გურჯაანი	76,2
ფოთი	100,0	სიღნაღი	101,1
ქუთაისი	87,4	წითელწყაროო	103,0
წყალტუბო	89,9	თელავი	83,8
სამტრედია	95,6	ყვარელი	94,5
წულუკიძე	89,8	ლაგოდეხი	92,8
ვანი	85,8	თბილისი	92,0
მაიაკოვსკი	90,4	მცხეთა	103,0
ზესტაფონი	29,9	ყარაია	109,7
ჩხარი	47,1	ბორჩალო	99,8
ჭიათურა	33,3	ბოლნისი	84,7
საჩხერე	16,2		
ორჯონიკიძე	39,4	საგარეჯო	66,4
ამბროლაური	10,9	ბაშკიჩეთი	58,7

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 აპრილის ოპერაციული ცნობა

14 აპრილის განმავლობაში ქალაქ ჩერტკოვის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ტარნოპოლის ოლქის რაიონული ცენტრი ტლუსტე, აგრეთვე დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები იაბლენიცა სტარა, შულგანოვკა, იაბლენიცა, მუხავკა, ანტონუვი, სლონე, ტორსკე.

ქალაქ ოდესის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა სავხებით გასწმინდეს მოწინააღმდეგისგან დნესტრის ლიმანის აღმოსავლეთი ნაპირი, ამასთან დაიკავეს დასახლებული პუნქტები როქსოლიანი, პერვომაისკი, კრიჟანოვკა, ტერნოვკა, კარალინა გულაზი და რკინიგზის სადგურები დალნიკი, კარალინა გულაზი.

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, რომელნიც წარმატებით შეტევას ავითარებდნენ, დაიკავეს ყირიმის რაიონული ცენტრები — ქალაქი ბახჩისარაი, ქალაქი ალუშტა, ქალაქი საკი, აკ-მეჩეთი, ფრაიდორფი, ზუია, აგრეთვე დაიკავეს 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები იარილგაჩი, კუნანი, ულარჯა, მერეფინო, სუკურ-კო, ოტარ-მაინაკი, მიხაილოვკა, ივანოვკა, კონტუგანი, გულგანაკი, აზეკი, ვერხნიე და ნიჟნიე საბლი, ბიუკ-ინანკოი და რკინიგზის სადგურები კამბარი, კნიაზევიჩი, საკი, ულარა-ტოგე, გულგანაკი, ალმა, შაკული, ბასჩისარაი. მოწინააღმდეგეს, რომელიც უკან იხევს ჩვენი ჯარების დარტყმების გამო, უდიდესი ზარალი მოსდის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. წინასწარი ცნობებით, 13 აპრილის ბოლოს უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 17 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარებმა, რომელნიც უკანდახეულ მოწინააღმდეგეს სდევნიდნენ, დაიკავეს ყირიმის რაიონული ცენტრები — ქალაქი უარასუბაზარი, ქალაქი სუდაკი, იჩკი, აგრეთვე დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები: როზენტალი, ფრიდენტალი, ბაქსანი, უსაუტი, კაფსიხორი, ტუტლაკი, ტარაქტაში. ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარები შეტევის მსვლელობაში შეუერთდნენ უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებს. წინასწარი ცნობებით, 13 აპრილის ბოლოს ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 14 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავთა მოქმედება და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

13 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 34 ტანკი. ხაპაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 18 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ოდესის სამხრეთ-დასავლეთით დნესტრის ლიმანთან მიმწყვდეული გერმანელები შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ისინი ძლიერი ცეცხლით და კონტრიერიშებით ცდილობდნენ დრო მოეგოთ, გადეყვანათ თავიანთი ნაწილები და გადაეზიდათ საჭურველი და ტექნიკა. ჩვენმა ჯარებმა სწრაფი დარტყმებით გაანადგურეს მოწინააღმდეგე და საკუთარ გასწმინდეს დნესტრის ლიმანის აღმოსავლეთი ნაპირი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. გერმანელთა ცალკეულ ჯგუფებზე, რომელნიც ცდილობდნენ ტყვეებთა და ნავებით გადასულიყვნენ ლიმანს, ჰაერიდან მივიტანეთ იერიში და ჩავძირეთ. ხელთ ვიგდეთ იშელონები საჭურველიანად, სომარ მასალიანად და ქარხნების მოწყობილობიანად. რაიონულ ცენტრ ოვიდიოპოლში ხელთ ვიგდეთ დაგლა, რომელშიც არის 36 ქვემეხი, 10 საწვავი და 200 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთიანად.

* * *

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარები სწრაფ შეტევას ავითარებდნენ. ჩვენმა მოტორიზებულმა შაროლემა ნაწილებმა ბრძოლით დაიკავეს ქალაქი საკი, სდევნიდნენ მოწინააღმდეგის დამარცხებულ ჯარებს და საკენებით გასწმინდეს საკი-სიმფეროპოლის გზატეხილი. ყირიმის დასავლეთ სანაპიროზე გერმანელებმა სეადეს წინააღმდეგობის გაწევა. ჩვენმა მოძრავმა შენაერთებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგე და სწრაფად მიიწევენ სევასტოპოლისკენ. საბჭოთა ტანკისტებმა და ქვეითებმა დაიკავეს ქალაქი ბახჩისარაი და ბრძოლებს ეწევიან ყირიმის ტყიანსა და მთიან ნაწილში. ჩვენმა სხვა ნაწილებმა დღის განმავლობაში წინ წაიწიეს 40 კილომეტრით, გავიდნენ ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე და უეცარი დარტყმით დაიკავეს ქალაქი ალუშტა. ამით იალტისაკენ მიმავალი გზა გადავუჭრით ფეოდოსიიდან უკანდახეულ მტრის ჯარებს. სიიტლერის საშხრეთ-აღმოსავლეთით გარშემორტყმული და განადგურებულია მოწინააღმდეგის ჯარების ჯგუფი. ტყვედ დაგვნებდა ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი პოლკის მეთაურ ბატუ ფლორინის მეთაურობით. დამარცხებულია რუმინელთა მე-9 და მე-10 დივიზიები. სავსებით მოსპობილია გერმანელთა ქვეითი დივიზია. ხელთ ვიგდეთ დიდძალი საბრძოლო ტექნიკა, რკინიგზის ბევრი ვაგონი და ორთქლმავალი. ტყვეები აცხადებენ, რომ გერმანელი და რუმინელი გენერლები ყირიმიდან თვითმფრინავებით გაფრინდნენ და თავიანთი დივიზიები ბედის ანაბარა მიატოვეს.

* * *

ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარები წარმატების შეტევას განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგის ყველა ცდა—შეჩერებულიყო შუალედ ზღუდეებზე და წესრიგში მოეყვანა თავისი დამარცხებული ნაწილები — უშედეგოდ დამთავრდა. ჩვენი მებრძოლები სწრაფად სძლევენ ჰიტლერელთა წინააღმდეგობას, სპობენ მათ, ანდა ტყვედ მოჰყავთ. ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ყარასუბაზარი და შეუერთდნენ უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებს. ჩვენმა მებრძოლებმა, რომელნიც შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ უტევენ, დაიკავეს ქალაქი სუდაკი, ამასთან ამ რაიონში გაანადგურეს გერმანელთა და რუმინელთა ჯარების დიდი დაჯგუფება. არასრული ცნობებით, დღის განმავლობაში ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 160 ქვემეხი, 110 ნაღმსატყორცანი, 310 ტყვიამფრქვევი, 6 ათასი შაშხანა და ავტომატი, 25 ტრაქტორი, 10 ალალი, 1.500 ცხენი და სხვა დაგლა. შუაგულ ყირიმში მიმავალ გზებზე თავგარდაცემული გერმანელები, რომელნიც უკან იხევენ, სტოვებენ არა მარტო ავტომანქანებს, შაშხანებს, სომარ მასალას, არამედ თავიანთ პირად ტანსაცმელსაც — მაზარებს, ჩექმებს, მუზარადებს, სანივთე ჩანთებსა და აირწინაღებს.

* * *

ჩვენი ავიაცია და შავი ზღვის ფლოტის გემები განუწყვეტლივ ურტყამენ მტრის გემებს, რომელნიც ცდილობენ გაიდნენ ყირიმის იმ ნაკლადგურებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ მოწინააღმდეგის ხელშია. ფლოტის გემებმა დღეს ჩასძირეს მოწინააღმდეგის 3 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი. საბჭოთა მფრინავებმა ჩასძირეს 3 თვითმავალი სადესანტო კარავანი გერმანელთა ქვეითი ჯარისანად. ნუთ თვითმავალ კარავან სერიოზულად დაზიანდა სავალი მოწყობილობა. გარდა ამისა, ჩაძირულია რამდენიმე სხვა პატარა გემი. გაშლილ ზღვაში ჩვენმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს მტრის ტრანსპორტზე, რომელსაც გაძლიერებული ბადრაგი ახლდა. გემზე დიდი ხანძარი გაჩნდა. მტრის ერთი ნაღმოსანი სერიოზულად დაზიანდა. საბჭოთა მეზღვაურები და მფრინავები აქარწყლებენ მოწინააღმდეგის ყოველ ცდას — გადაარჩინოს თუნდაც ნაწილი ყირიმის თავისი დაჯგუფებისა, რომელიც განწირულია დასაღუპავად.

* * *

ლვოვის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმებმა სამი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაადგეს გერმანელთა ოთხი სამხედრო ეშელონი. გარდა ამისა, საბჭოთა პატრიოტებმა ააფეთქეს 3 გზატკეცილის ხიდი და საარტილერიო ყუმბარის საწყობი. პირველ აპრილს ლვოვის პარტიზანებმა გაანადგურეს მტრის გარნიზონი ერთ დასახლებულ პუნქტში. მოკლულია 60 ჰიტლერელი.

* * *

ჭერჩის ნახევარკუნძულზე ტყვედ წამოყვანილმა რუმინელთა მე-6 ცხენოსანი დივიზიის მე-9 ცხენოსანი პოლკის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა პაულიაუმ განაცხადა: „ჩემი პოლკი თავდაცვაზე იდგა ქალაქ ჭერჩის სამხრეთით. როცა რუსებმა გერმანელთა თავდაცვა გაარღვიეს და ჭერჩ-ფეოდოსიის გზატკეცილზე გავიდნენ, პოლკს გარემოცვის საფრთხე დაემუქრა. გერმანელები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ, და მე ბრძანება გავეცი უკან დაეხიათ ტურეცკი ვალის ხაზზე. ჩვენ ახალ ადგილზე თავდაცვის დაკავება ვერცკი მოვასწარით, რომ მარცხენა ფლანგზე რუსების ტანკები გამოჩნდნენ. რუმინელმა ჯარისკაცებმა რომ დაინახეს გერმანელები გარბიანო, მთელი ესკადრონებით ნებდებოდნენ ტყვედ. ესკადრონთა მეთაურებისადმი ჩემ მიერ გაცემული ბრძანებები არ სრულდებოდა. მეცხრე ცხენოსანი პოლკი სავსებით განადგურებულია. ჭერჩის ნახევარკუნძულიდან არ გასულა არც ერთი ჯარისკაცი. პოლკის მთელი ტექნიკა და მისი არტილერია ხელთ იგდეს რუსებმა“.

უკანასკნელი ცნობები

გამოხმაურება ინგლისში ნითელი არმიის მიერ ყირიმში მოპოვებულ სახელოვან გამარჯვებათა გამო

ლონდონი, 14 აპრილი (საკდისი). რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, რომ უდიდესი სამამაცო გამარჯვებისა—ნავსადგურების ფეოდოსიის, ევპატორიის, ყირიმის დედაქალაქ სიმფეროპოლის დაკავების — შედეგად წითელი არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ყირიმის ორ მესამედზე მეტი. ამ გამარჯვებებმა საბჭოთა ჯარებს გზა გაუხსნეს შავი ზღვის უკანასკნელი ბაზებისაკენ, რომელთაც ჯერ კიდევ გერმანელები ინაბრუნებენ.

ლონდონის რადიოს მიმოხილველმა ბრენტ ვუდმა განაცხადა: თავიანთი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების ერთგულმა საბჭოთა ჯარებმა არ დააყოვნეს, რომ ბოლომდე გამოეყენებინათ თავიანთი გამარჯვება ოდესასთან. ყველასათვის ცხადი იყო, რომ წითელი არმიის მიერ ამ უმნიშვნელოვანესი ქალაქისა და ნავსადგურის დაკავება წინასწარ განსაზღვრავდა ყირიმში მყოფ გერმანელთა ბედს. მიუხედავად ამისა, ბოლოდროინდელ, რომლითაც წითელი არმია ყირიმის განთავისუფლებას ახორციელებს, განცვიფრებას იწვევს. შეუძლებელია აღტაცებაში არ მოიყვანოს ადამიანი საბჭოთა ჯარების სწრაფმა წინსვლამ. ლონდონის რადიოს სამხედრო მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ახლა საბჭოთა ჯარებისათვის გზა გახსნილია სევასტოპოლისაკენ. გერმანელთა და რუმინელთა ჯარების წინაშე ყირიმში მეტად შავბნელი პერსპექტივებია, ვინაიდან მეტად საეჭვოა მათი იმედები, მოახდინონ რამდენადმე წარმატებითი ევაკუაცია ზღვით.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 14 აპრილი (საკდისი). როგორც ოფიციალურად ეუწყებიან, გუშინ დღისით ამერიკის 1.100-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი, რომელთაც ავიაგამანადგურებელთა მეტად დიდი შენაერთები ბადრაგობდნენ, თავს დაესხნენ საავიაციო ქარხნებს აუგსბურგსა და ობერპფაფენჰოფენში, გერმანიის ავიაციის ბაზას ლეხფელდში და ბუნთიულასაკირის ქარხანას შვაინფურტში. გაიმართა საპაერო ბრძოლები, რომლებშიც ჩამოგდებულ იქნა მტრის 51 თვითმფრინავი. მტრის ბევრი მანქანა მოსპობილ იქნა ხმელეთზე. ამ ოპერაციების დროს მოკავშირეებმა 44 თვითმფრინავი დაკარგეს.

მდგომარეობა სოფიაში

ლონდონი, 14 აპრილი (საკდისი). აქ მიღებული ცნობებით, სოფიაში შემოდებულია ახალი ეგრეთწოდებული „პოლიციური საათი“ 18 საათიდან და 30 წუთიდან 5 საათამდე. ამ დროს მოსახლეობას აკრძალული აქვს ქუჩაში გამოსვლა. აკრძალულია აგრეთვე სამზე მეტი კაცის თავმოყრა. პოლიციას სპეციალური ბრძანებით მინიჭებული აქვს უფლება ადგილზევე დახვრიტოს ის პირნი, რომელნიც მის განკარგულებას არ დაემორჩილებიან.

ინგლისისა და ამერიკის ნოტები შვეიცარიის მთავრობისადმი

ლონდონი, 14 აპრილი (საკდისი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონში ოფიციალურად დადასტურებულია ცნობა იმის შესახებ, რომ 13 აპრილს ბრიტანეთისა და ამერიკის მთავრობებმა შვეიცარის მთავრობას გადასცეს ნოტები, რომლებიც შეეხება გერმანიასთან შვეიცარიის ვაჭრობას. ნოტებში განსაკუთრებით არის აღნიშნული შვეიცარის ბურთულასაკირების ექსპორტი.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 14 აპრილი (საკდისი). იუგოსლავიაში გაფთრებული ბრძოლები გრძელდება. მოწინააღმდეგეს მაშველი ჯარები გამოჰყავს ფრონტის სრბ-ბიხაჩის უბანზე, რათა იხსნას თავისი დიდი გარნიზონები. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა ჭნინის სექტორში დაიკავეს დასახლებული პუნქტები სტრმიცა და პლავნო.

ჰიტლერელთა ჯარებმა კვლავ სცადეს გაჭრილიყვნენ მრკონიჩ-გრადისაკენ, მაგრამ უკუგდებულ იქნენ, ამასთან დიდი ზარალი მოუვიდათ.

ძლიერი ბრძოლები მიმდინარეობს აღმოსავლეთ ბოსნიაში.

ოკუპანტების ჯარებს დიდი მაშველი ძალები მიუვიდათ და ორი დღის ბრძოლების შემდეგ კვლავ დაიკავეს პოდრავსკა სლატინა სლავონიაში. ამ ბრძოლებში მოწინააღმდეგემ გამოიყენა ტანკები და მძიმე არტილერია. მისი ჯარების მოქმედებას ხელს უწყობდა 50-ზე მეტი თვითმფრინავი, რომლებიც განუწყვეტლივ ბომბავდნენ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილების ზურგს.

ლიკში მოწინააღმდეგემ მოახერხა შეჭრილიყო განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ბაბინ-პოტოკამდე. მაგრამ შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა, რომლებსაც ტანკები დაეხმარნენ, უკუაგდეს მტერი თავდაპირველ პოზიციებზე.

ყირიმი

შეიმუსრა კიდევ ერთი უძლიერესი სიმაგრე გერმანელი და რუმინელი დამპყრობლების მიერ აგებული საბჭოთა მიწა-წყლის სამხრეთში! წითელ არმიის მძლავრი დარტყმებით გადალახულია სივაში, გარღვეულია აშუნი, აკ-მონაის პოზიციები, რომლებიც ჰკეტავდნენ ყირიმის კარს, და მარტო გუშინდელი დღის განმავლობაში მტრისაგან განთავისუფლებულია ფეოდოსია, ევპატორია და ყირიმის დედაქალაქი — სიმფეროპოლი. საბჭოთა დეგვმირი მეომარი გიგანტური ნაბიჯებით შედის მადლიან საბჭოთა ყირიმში და ზღვაში ჰყრის საზიზღარ გერმანელთა და რუმინელთა ყაჩაღური ბანდების ნაშთებს.

უკვე ახლოა ყირიმის სრული და საბოლოო განთავისუფლების ჟამი. გუშინ დედაქალაქმა სამშობლოს სახელით სამგზის მისცა სალუტი არმიის, გენერალ ტოლბუხინისა და არმიის გენერალ ერიომენკოს მამაც ჯარებს. გუშინ სამგზის გაისმა ჩვენს ქვეყანაში საზეიმო ხმები სახელმწიფო ჰიმნისა, რომელიც მოსკოვის რადიოსადგურებმა გადასცეს გამარჯვებულთა სადიდებლად. დღეს ზეიმობს მთელი საბჭოთა ხალხი — ჩვენს ქვეყანაში დიდით პატარამდე ყველას უყვარს ყირიმი—საბჭოთა მიწა-წყლის ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე.

ყირიმის სანაპირო და მთები, მისი ჯანმრთელობის კერები და ვენახები წლითიწლობით წარმოადგენდნენ მილიონობით მშრომელთა ჯანმრთელობის, სიხარულისა და ძალ-ღონის წყაროს. ყირიმის მინდვრები და ბაღები უხვად გვაძლევდნენ თავიანთ ნაყოფს. ყირიმს ქებას ასხამდნენ პუშკინი, ტოლსტოი, მიცკევიჩი.

რუსეთის საშხედრო დიდების რაოდენი ტრადიციაა დაკავშირებული ყირიმთან! ნახიმოვისა და კორნილოვის, მატროს კოშკასი და სათნოების დის დაშას დიადი აჩრდილები თავს დასტრიალებენ სევასტოპოლის ბასტიონებს. მალე ასი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც აქ „ზოვარი თორმეტეულერ გამოცავალა, მთვარე გამოჩნდა ცაზე, ალყა კი სულ გრძელდებოდა და ბრძოლის ველი ფართოვდებოდა სისხლით მორწყულ კედლებში“. ყირიმი არამარტო შორეული წარსულის დიდებას გვიხსნიდა — მან ეს დიდება გაამრავლა სამოქალაქო ომის წლებში პერეკოპთან ბრძოლების დროს. მან თავის ისტორიაში ჩასწერა საუკუნეობით უჭკნობი ორასორმოცდაათი დღე სევასტოპოლის დაცვისა 1942 წელს. სევასტოპოლის გმირმა დამცველებმა სიყვარული და მადლობა მოიპოვეს საბჭოთა ხალხის გულში. „სევასტოპოლელთა თავდადებული ბრძოლა, — სწერდა ამხანაგი სტალინი, — გმირობის მაგალითია მთელი წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხისათვის“.

ახლა ყირიმს კვლავ წილად ხვდა დიადი ბრძოლების ასპარეზი გახდეს. ბრძოლები, რომლებსაც ახლა ჩვენი არმია ყირიმის ნახევარკუნძულზე ეწევა, ეშმაკიტად შესანიშნავია. ეს ბრძოლები სტალინური მხედართმთავრული ხელოვნების გამოყენების საუცხოო ნიმუშია.

მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებულ ზოლს ვანადგურებდით დაკარტეთი სამ ადგილას: პერეკოპის ყელზე, ტბათა იწროებში სივაშის სამხრეთ-სანაპიროზე და ჭერჩის ნახევარკუნძულზე. გერმანელები დარწმუნებული იყვნენ მათ მიერ აგებული სიმაგრეების მიუვალობაში. ჯერ კიდევ გასული წლის 23 ივლისს გერმანული გაზეთი „ბერლინერ ბერზენციტუნგი“ იუწყებოდა, რომ „ამჟამად ყირიმის ნახევარკუნძული გადაქცეულია მიუვალ სიმაგრედ. ეს მშვენიერია, მდიდარი კუთხე მზად არის მოიგერიოს მტრის ყოველი იერიში. მთელ ყირიმს გარს არტყია მეტად ძლიერი სიმაგრეები, რომლებიც ბუნებრივ დამცველ საშუალებებთან ერთად საუკეთესოდ ინაბრუნებენ“.

მას შემდეგ გასული დრო გერმანელებმა იმას მოანდომეს, რომ გაეუმჯობესებინათ თავიანთი თავდაცვა. საშხედრო ტექნიკის მთელი ახალი მიღწევა, გამაგრებულ ზღუდეთა მშენებლობის მთელი თავიანთი გამოცდილება მათ გამოიყენეს, რათა გაეძლიერებინათ ბარიერი, ყირიმს რომ ერტყა. მაგრამ საბჭოთა არტილერიის, ავიაციისა და ტანკების სიმძლავრემ, მთელი ჩვენი საბრძოლო ტექნიკის სიმძლავრემ გააკამტვერა მტრის ეს ვითომდა უვნებადი სიმაგრეები.

პერეკოპი აშუნის პოზიციების მთელ სიღრმეზე გაერღვეულ იქნა ოდესაოდენ საათის განმავლობ

ჰელის გამოსვლა რადიოთი

ვაშინგტონი, 9 აპრილი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ჰელმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ძირითადი მიზნების მუდმივობით ხასიათდება და სთქვა: „უკანასკნელი დროის ჩვენმა ისტორიამ სამი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გაკვეთილი მოგვცა, რომლებზეც მე მსურს თქვენი ყურადღება საგანგებოდ შევაჩერო. პირველი ის, რომ ევროპაში ახლანდელი ომის დაწყების მიზეზებიდან, ჩვენ და იმ ქვეყნებმა, რომლებიც ამჟამად ჩვენი მოკავშირენი არიან, განვლეთ გზა, რომელმაც შედარებითი სისუსტიდან ძლიერებამდე მიგვიყვანა. მეორე ის, რომ ამავე პერიოდის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში თავიდან მოვიშორეთ ღრმად ჩანერგილი ტენდენცია სეპარატული მოქმედებისადმი და მივედით იმის გაგებამდე და რწმენასთან, რომ მხოლოდ მოქმედების ერთიანობის მეოხებით შეიძლება ამ ქვეყნად იმ შედეგების მიღწევა, რომლებიც აუცილებელია თავისუფალ ხალხთა არსებობის განგრძობისათვის. და, მესამე ის, რომ ჩვენ უარვყავით უდარდელი შემწყნარებელი დამოკიდებულება ბოროტების ინსტიტუტებისადმი და მიგზედით რწმენამდე, რომ თავისუფალ მთავრობებს და ნაცისტურ და ფაშისტურ მთავრობებს არ შეუძლიათ ერთად იარსებონ ამ ქვეყნად, რადგან უკანასკნელთა თვით ბუნება ხდის მათ აგრესორებად, მაშინ როდესაც თავისუფალ მთავრობათა თვით ბუნება მეტად ხშირად ხდის მათ უმწეოდ თავდასხმის გამცემლური და კარგად შემუშავებული გეგმის წინაშე. ამ მომენტების შეგნება დაგვეხმარება ამ პოლიტიკის გამორკვევაში, რომელსაც ჩვენი მთავრობა ატარებდა და ატარებს".

აღნიშნა რა, რომ 1940 წელს, საფრანგეთის დაცემის შემდეგ, თავისუფალი ქვეყნები სუსტნი იყვნენ სამხედრო მხრივ, ხოლო მათი მტრები და პოტენციური მოწინააღმდეგენი ძლიერნი და კარგად მომზადებულნი და რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამის შემდეგ მალე შეუდგნენ თავიანთი უდიდესი რესურსებისა და ადამიანთა რეზერვების მობილიზაციას, ჰელმა სთქვა: „ეს ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო. იმ დროიდან, რაც მიღებულ იქნა ეს გადაწყვეტილება, ჩვენ მტად დავშორდით ჩვენს წინანდელ პოზიციებს. ჩვენ და ჩვენნი მოკავშირენი ვიძენთ ძალას, რომელიც არავითარ ეჭვს არ სტოვებს საბოლოო შედეგში. ეს საბოლოო შედეგი ჯერ კიდევ სულაც არ არის მიღწეული. ჩვენ ჯერ კიდევ მძიმე დრო მოგველის, მაგრამ ჩვენ შევქმენით ძლიერება, რომლის შექმნასაც ვცდილობდით, და მხოლოდ ნებისყოფის შენარჩუნება გვჭირდება იმისთვის, რომ მოვახდინოთ ამ ძალის რეალიზაცია. გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ და რომელსაც ვახორციელებთ, იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ მხოლოდ სპორადული ღონისძიებანი გვეხმარა. ეპიზოდები არ შეადგენენ პოლიტიკურ ხაზს. ამერიკელი ხალხი აღსავსეა გადაწყვეტილებით—იაროს წინ ჩვენს მოკავშირეებთან ერთად ჩვენი მტრების მოსპობისაკენ და ნაცისტური და ფაშისტური სისტემების მოსპობისაკენ, რომელთაც ჩვენ ომში ჩავგაბეს. ამერიკელი ხალხი აგრეთვე აღსავსეა გადაწყვეტილებით—იაროს წინ გმირკვევების შემდეგ ჩვენს მოკავშირეებთან და ყველა სხვა ქვეყანასთან ერთად, რომელთაც სურთ შშვიდობიანობა და თავისუფლება იმისათვის, რომ შევქმნათ და მთელი ძალებით მხარი დავუჭიროთ იმ დაწესებულებებს, ურომლისოდაც მშვიდობიანობა და თავისუფლება არ შეიძლება იქნეს მტკიცე რეალობა. ჩვენ არ შეგვიძლია ხან ჩავებათ საერთაშორისო თანამშრომლობაში, ხან უარი ვსთქვათ მასზე, ხან ვიკისროთ პასუხისმგებლობა როგორც ეროვნებათა ოჯახის წევრმა, ხან უარი ვსთქვათ მასზე. თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური, მატერიალური და სულიერი ძლიერება არა მარტო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ ძლიერებაზე, რასაც ანიჭებს საერთო ღონისძიებებს ჩვენი სრული მონაწილეობა, არამედ, როგორც ეს ჩვენ ამჟამად ვიცით, წარმოადგენს ჩვენი საკუთარი ძლიერების სასიცოცხლო მნიშვნელოვან ფაქტორს".

ჰელი შეეხო დამოკიდებულებას ნეიტრალურ ქვეყნებთან და აღნიშნა, რომ პირველი ორი წლის განმავლობაში ჰიტლერის ომების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები მუდამ ისწრაფოდნენ ეჩვენებინათ მათთვის, რომ მოკავშირეთა გამარჯვებაზეა დამოკიდებული თვით მათი არსებობა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნებისა. „ჩვენ აღარ შეგვიძლია შევურიგდეთ იმას, — განაგრძო ჰელმა,—რომ ეს ქვეყნები, რომლებიც სარგებლობენ მოკავშირე ერთა რესურსებით, იმავე დროს ხელს უწყობდნენ ჩვენი ჯარისკაცების დაღუპვას, რომლებიც თავიანთი თავგანწირულებით ეხმარებიან ამ ქვეყნების ხსნას ისევე, როგორც ჩვენს ხსნასაც. ჩვენ დიდად ვცემდით პატივს ამ ქვეყნების სუვერენიტეტს; ჩვენ ძალა არ დავგიტანებია და არც დავატანთ ძალას რომელიმე ქვეყანას შემოგვიერთდეს ბრძოლაში. ჩვენ ვეუბნებოდით ამ ქვეყნებს, რომ მათ აღარ სჭირდებათ თავი დაიხსნან აგრესიისაგან ჩვენი მოწინააღმდეგისთვის დახმარების აღმოჩენით,—ან გერმანიის ოფიციალური აგენტებისათვის ნებართვის მიცემით—აწარმოონ თავიანთი ჯალათური საქმიანობა მოკავშირეთა წინააღმდეგ ნეიტრალური ქვეყნების ფარგლებში, ან გერმანიაში ინგრედიენტების გაგზავნით, რაც მნიშვნელოვანია ფოლადის დნობისათვის, რომლის დახმარებითაც გერმანელები ჰკლავენ ჩვენს ჯარისკაცებს, ან მაღალკვალიფიციური მუშებისა და ქარხნებისათვის ნებართვის მიცემით—მოამარაგონ მოწინააღმდეგე იმ საგნებით, რომელთა წარმოება უკვე აღარ შეიძლება გერმანიის ქარხნების გადაბეგვილ ნაგრეგებში. ჩვენ მხოლოდ ვთხოვთ მათ, და ამასთან დაკონებთაც, შესწყვიტონ დახმარების აღმოჩენა ჩვენი მოწინააღმდეგისთვის.

მოკავშირეთა ძალა ამჟამად ისე გაიზარდა, რომ ჩვენ ვიმყოფებით უდიდესი ამბების წინაშე. სამხედრო საქმეებზე მე არ შემიძლია ვილაპარაკო. შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ ეს საქმეები იმყოფება იმ ადამიანთა გაგებლობაში, რომელთაც მთლიანად ენდობა ამერიკელი ხალხი. ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებულნი ვ�lოდებით სამხედრო ამბების განვითარებას. მაგრამ მე შემიძლია და მსურს განვიხილო თქვენთან საკითხი, რა მოპყავება საომარ მოქმედებას. ევროპის რუკას რომ ჯუცქერი, ჩემთვის ნათელი ხდება ზოგიერთი მომენტი. რამდენადაც ფაშისტები უახლოვდებიან თავის დამარცხებას, ისინი თავიანთ შემძლეგ აუცილებლად დასტოკვებენ მემკვიდრეობად ქაოსს გერმანიაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, რომლებიც გერმანიის სატელიტებს წარმოადგენენ. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ და ჩვენმა მოკავშირეებმა დავაწესოთ აუცილებელი კონტროლი იმაზე, რათა რაც შეიძლება საჩქაროდ შევიტანოთ წესრიგი ამ ქაოსში".

აღნიშნა რა, რომ „სტაბილურობა და წესრიგი არ ნიშნავს და არ შეიძლება ნიშნავდეს რეაქციას", ჰელმა განაცხადა: „მაგრამ ჩვენ იმედითა და ღრმა რწმენით ვეელოდებით ევროპაში უდიდესი დემოკრატიული მიღწევების პერიოდს. გერმანიის მონობისაგან განთავისუფლება ევროპის ხალხებს მისცემს ახალ და შესანიშნავ შესაძლებლობას მათი დემოკრატიული მისწრაფებების განხორციელებისათვის როგორც თავიანთი არჩევანის მიხედვით დემოკრატიულ პოლიტიკურ დაწესებულებათა შექმნის საქმეში, ისე სოციალური და ეკონომიური დემოკრატიის მიღწევის საქმეშიც, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს პოლიტიკური დემოკრატია".

საფრანგეთის მიმართ ამერიკის პოლიტიკის გამო ჰელმა განაცხადა: „ჩვენს პირველ საზრუნავს წარმოადგენს მოწინააღმდეგის განადგურება, მისი განდევნა როგორც საფრანგეთის ტერიტორიიდან, ისე მის მიერ დაპყრობილი ყველა მეზობელ ქვეყნის ტერიტორიიდან. ამის განსახორციელებლად უმაღლეს სამხედრო მთავარსარდალს უნდა ჰქონდეს შეუზღუდველი უფლება. მაგრამ ჩვენ მიზნად არა გვაქვს და არც სურვილი გვაქვს ვმართოთ საფრანგეთი ან ვუხელმძღვანელოთ მის პოლიტიკას, იმის გამოკლებით, რაც აუცილებელი გახდება მტრის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების წარმოების თვალსაზრისით. უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა სამოქალაქო ხელისუფლება საფრანგეთში ფრანგების მიერ ხორციელდებოდეს, რათა ეს ხელისუფლება მალე შეიქმნას და მოქმედებდეს წინასწარ შემუშავებული გეგმების შესაბამისად ისეთი სისავსით, რამდენადაც ამის ნებას საომარი ოპერაციები იძლევიან". „ამიტომ პრეზიდენტი და მე,—სთქვა შემდეგ ჰელმა,—დარწმუნებული ვართ, რომ აუცილებელია თავიდანვე შეიქმნას სამოქალაქო ადმინისტრაცია—დემოკრატიული საფრანგეთის სამოქალაქო ადმინისტრაცია საფრანგეთში. ჩვენ გვსურს, რათა საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლის მეთვალყურეობით ანხორციელებდეს ხელმძღვანელობას უფლებრივი წყობილების დამყარების საქმეში. კომიტეტმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ მას განზრახვა არა აქვს მარადჟამს თავისი ძალაუფლება. პირიქით, მან განაცხადა, რომ მას სურს რაც შეიძლება მალე მისცეს ფრანგ ხალხს შესაძლებლობა საფრანგეთის კონსტიტუციის შესაბამისად გამოხატოს თავისი სუვერენული ნება. უდავოა, რომ კომიტეტი არ წარმოადგენს საფრანგეთის მთავრობას, და ჩვენ არ შეგვიძლია იგი ასეთად ვცნოთ. ორივე მხარის მიზნების ამ გაგების შესაბამისად კომიტეტი მიიღებს სრულ შეაძლებლობას ხელი აიღოს სამოქალაქო მმართველობა და ჩვენ მასთან ვითანამშრომლებთ. აღმოვუჩენთ დახმარებას, რასაც გავუწევთ ყოველგვარი შესაძლებელი გზით, რათა მან შესძლოს წარმატებით მოქმედება. კომიტეტი წარმოადგენს საფრანგეთის სულისა და ფრანგთა წინააღმდეგობის სიმბოლოს".

„იტალიაში,—განაგრძო ჰელმა,—ჩვენს ინტერესებს ასევე შეადგენს დახმარება აღმოვუჩინოთ იტალიის თავისუფალი და დემოკრატიული მთავრობის რაც შეიძლება მალე შექმნას".

ჰელმა აღნიშნა, რომ პოლიტიკა, რომელიც მოცემულია საგარეო საქმეთა სამი მინისტრის მოსკოვის კონფერენციის მიერ მიღებულ დეკლარაციაში იტალიის შესახებ, „ხორციელდებოდა და ამჟამადაც ხორციელდება. ჯერ-ჯერობით შესრულებული არ არის დეკლარაციის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მოწოდებს ცენტრალური მთავრობის შემადგენლობაში უფრო დემოკრატიული ელემენტების ჩამატებისაკენ. ეს არ ნიშნავს რამე ცვლილებას ნათლად გამოცხადებულ პოლიტიკაში. ის პირები, რომლებიც ძირითადად პასუხისმგებელნი არიან საომარი ოპერაციებისათვის, აქამდე ფიქრობდნენ, რომ სასურველი არ იქნებოდა ძალით მოგვეხვია თავზე მთავრობის რეორგანიზაცია. ხოლო ამის განხორციელება შეთანხმების საფუძველზე ჯერ კიდევ არ იყო შესაძლებელი. მაგრამ იმ პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, რომლებიც ატარებენ თათბირებს დემოკრატიულ საფუძველზე თავისი ქვეყნის პოლიტიკური რეკონსტრუქციის პროგრამის შემუშავების მიზნით, უკიდურეს წარმატებას ვგრძნობ ამ მიმართულებით. მუდმივი აღმასრულებელი ჯუნტა ცდილობს გამონახოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველჰყოფს ლიბერალური პოლიტიკური ჯგუფების თანამშრომლობას მთავრობაში. ამრიგად, 21 წლის შემდეგ ჩვენ ვხედავთ პოლიტიკური შეგნებულობისა და აქტივობის აღორძინებას იტალიაში, აღორძინებას, რომელიც ეხმარება იტალიის ხალხს მიერ თავისი მთავრობის არჩევისაკენ თავისუფალი ნებისურვილის გზით".

„ორი წლის ინტენსიური შესწავლის შემდეგ,—განაგრძო ჰელმა,—საფუძველი, რომელსაც უნდა დაემყარის ჩვენი პოლიტიკა, მტკიცედ არის დადგენილი, მიმართულება ნათელია, განხორციელების საერთო მეთოდებს კი უკვე ვქმნით. პოლიტიკის ეს საფუძველი და ეს მეთოდები ემყარება მეორე გაკვეთილს, რომელიც, როგორც გითხარით ჩემი სიტყვის დასაწყისში, მოგვცა უკანასკნელი წლების ჩვენმა ისტორიამ. ეს გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ ამ პრობლემების გადასაწყვეტად წარმოებული მოქმედება არ შეიძლება სეპარატული იყოს, არამედ შეთანხმებულ და გაერთიანებულ უნდა იქნას", „რა ძნელიც არ უნდა იყოს გზა, — სთქვა შემდეგ ჰელმა,—არ შეიძლება არსებობდეს იმედი ბამარჯვების გადაქცევისა მტკიცე მშვიდობიანობად, თუ შეერთებული შტატების, ერთა ბრიტანეთი თანამეგობრობის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ნამდვილი ინტერესები სრულ ჰარმონიაში არ იქნება და თუ ეს ქვეყნები ვერ შეთანხმდებიან იმაში, რომ ერთობლივად იმოქმედონ. ასეთია ის მტკიცე საფუძველი, რომელზეც უნდა აიგოს მთელი მომავალი პოლიტიკა და საერთაშორისო ორგანიზაცია. იგი უდიდეს შესაძლებლობებს იძლევა იმ დაწესებულებათა შექმნისათვის, რომლებშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა თავისუფალ ქვეყანას დემოკრატიულ საფუძველზე".

„თუმცა გზა მიზნისა და მოქმედების ერთიანობისაკენ გრძელი და ძნელია, — სთქვა ჰელმა, — ჩვენ მცირე მანძილი როდი განვლეთ ამ გზაზე". მან გაიხსენა ატლანტიკის ქარტია, 1943 წლის 30 ოქტომბერს მოსკოვში ხელმოწერილი დეკლარაციები, კაიროსა და თეირანის კონფერენციები. „სამმა მოკავშირემ, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ ევროპაში, მიაღწია სრულ შეთანხმებას გამარჯვების მოპოვების სამხედრო გეგმების მხრივ და განაცხადა თავიანთი გადაწყვეტილების შესახებ — მიაღწიონ შეთანხმებულ მოქმედებას მშვიდობიანობის პერიოდში. ეს თანხმობა მოკავშირეთა შორის ემყარება ინტერესთა ერთიანობისა და საერთო მისწრაფებათა ფართო საფუძველს. იგი მტკიცე იქნება. თეირანის დეკლარაციაში აგრეთვე ნათქვამია, რომ მშვიდობიანობის ამოცანების გადაწყვეტისას ჩვენ მივესალმებით ყველა დიდისა და მცირე ერის თანამშრომლობას და აქტიურ მონაწილეობას, რომლებიც მოისურვებენ დემოკრატიული ქვეყნების მსოფლიო ოჯახში შესვლას. წყნარი ოკეანის საკითხის გამო კაიროს დეკლარაციამ განაცხადა, რომ იაპონური ოკუპაცია ლაკიდირებული იქნება, რომ იაპონიას წაერთმევა მის მიერ დატაცებული ტერიტორიები, რომ მას შესაძლებლობა გამოეცალება კვლავ დაესხას თავს თავის მეზობლებს, რომ ჩინეთის ტერიტორია ჩინეთს დაუბრუნდება, ხოლო კორეის ხალხი თავისუფლებას მიიღებს. ჩვენზე და ჩვენს მოკავშირეებზე უკეთესად, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ დოკუმენტებს, არავინ იცის, რომ მათ არ გადაწყვეტილთ და არც სწყვეტენ ყველა საკითხს, არ იძლევიან ფორმულას მათ გადასაწყვეტად და არ სახავენ გეგმებს მოსავლის მოსაწყობად. ყოველმა გამოცდილმა ადამიანმა იცის, რომ ამის მიღწევის ცდა იმდენადვე უნაყოფოა, რამდენად სულელური".

მიუთითა რა ატლანტიკის ქარტიის მნიშვნელობაზე და აღნიშნა რა, რომ იგი არ წარმადგენს „კანონთა კოდექსს", არამედ სახავს მიმართულებას, რომლითაც უნდა ვიქცეთ გადაწყვეტილებანი და რომელიც არ იძლევა თვით გადაწყვეტილებებს, ჰელმა გაანგრძო:

„ძნელი საფიქრებელია, რომ ევროპის სახელმწიფოს ყველა საკითხი, რომლებიც 30-ზე მეტია, შეიძლება გადაწყდეს იმ დროს, როდესაც ომი ჯერ ისევ ვრცელდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება და საჭირო არ არის ამ დროის განმავლობაში გადაწყდეს ზოგიერთი საკითხი მეგობრული თათბირებისა და შეთანხმების გზით. ჩვენ მუდამ მზად ვართ ხელი შევუწყოთ შემდგომს ურთიერთგაგებას და იმ საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ჩვენს მოკავშირეთა შორის, რის მაგალითსაც წარმოადგენს ჩვენი სამსახურის შეთავაზება პოლონეთისა და საბჭოთა კავშირისათვის. ჩვენი წინადადება მოხსნილი არ არის. ჩვენი პოლიტიკა როგორც ამ საკითხებში. ისე ყველა სხვა საკითხშიც განისაზღვრება შეთანხმებული მოქმედებისა და ჩვენს შორის განხეთქილების თავიდან აცილების აუცილებლობით".

შემდეგ ჰელმა განაცხადა, რომ მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და აგრესიის თავიდან აცილებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციის ფორმისა და არსის განსაზღვრისას „საჭირო არ არის დაწერილებით შემუშავებული წინადადებების წამოყენება, რომლებიც მხოლოდ უთანხმოებას წარმოშობენ ამ დეტალების გამო, რომელთაგან ბევრი შეიძლება არა არსებითი აღმოჩნდეს. ერთადერთი განსახორციელებელ ხაზს წარმოადგენს თავდაპირველად მიღწევა შეთანხმებისა ძირითად პრინციპებში, შეთანხმებისა, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკის შემდგომს მიმართულებას. შემდეგ ჩვენ უნდა გამოვიძებნოთ სხვადასხვა მეთოდები და, ბოლოს, შეგჩერდეთ იმ წინადადებაზე, რომელიც შეიცავს შეთანხმების იტალიის ძირითად ელემენტებს და სამერმისოდ სტოვებს — ცდით შემოწმებისა და განხილვისათვის — იმ შედარებით წვრილმან საკითხებს, რომლებიც ამჟამად ვარაუდის სფეროში იმყოფებიან".

„სწორედ ასე, — განაცხადა ჰელმა,—ჩვენ ვსწყვეტთ საკითხს საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის და აგრესიის თავიდან აცილებისათვის".

„იმავე გადაწყვეტილებით — მიგვეღწია შეთანხმებისა და ერთიანობისათვის, — აღნიშნა ჰელმა, — ჩვენ ვესაუბრეთ ჩვენს მოკავშირეებს თეირანში ნაცისტური გერმანიისადმი დამოკიდებულების შესახებ, ხოლო ჩვენს მოკავშირეებს კაიროში — იაპონიისადმი დამოკიდებულების შესახებ. ვაყალიბებდით რა ჩვენს პოლიტიკას ჩვენი მტრების მიმართ, ჩვენ გამოვდიოდით არა მარტო იმ ორი ისტორიული გაკვეთილიდან, რომლებზეც მე ვიელაპარაკე, არამედ აგრეთვე მესამე გაკვეთილიდანაც: იქიდან, რომ არ შეიძლება იქნეს კომპრომისი ფაშიზმთან და ნაციზმთან. ფაშიზმი უნდა გაჩეხილ ყველანან თავის ლიდერებიანად, თავის დაწესებულებებიანად, იმ ძალებიანად, რომლებიც მას მხარს უჭერენ. ეს არ შეუძლია იმედი ჰქონდეს არავითარი ზავისა მოლაპარაკების გზით, არავითარი კომპრომისისა, აღორძინების არავითარი შესაძლებლობისა. ამის მიღწევა გადაწყვეტის ჩაინმა ხალხმა და ჩვენმა მთავრობამ. ამის მიღწევა გადასწყვეტეს აგრეთვე ჩვენმა, მოკავშირეებმაც".

„მოქმედება, რაც აუცილებელია ამ მიზნების მისაღწევად, როგორც ვთქვი, შეთანხმებული უნდა იყოს. ახლა ჩვენ, ჩვენს მოკავშირეებთან ერთად, ვიმუშავებთ ამ პოლიტიკას. როგორც გახსოვთ, მოსკოვის კონფერენციამ შეჰქმნა ევროპის საკონსულტაციო კომისია, რომელიც ახლა ლონდონში იმუშავებს საკითხს გერმანიისადმი დამოკიდებულების შესახებ. წინადადებანი, რომლებსაც წამოაყენებენ ამ განხილვის პროცესში, წარედგინება მთავრობებს კონკრეტული მოქმედებისათვის".

„ჩემი სიტყვის დასასრულს, — სთქვა ჰელმა, — მე მსურს შევეხო პასუხისმგებლობას, რაც ჩვენ გვაკისრია. გაერთიანებულ ერთა მოქმედება ან უმოქმედობა განსაზღვრავს — დაატყდება თავს თუ არა ამ ქვეყანას ახალი ომი 20 ან 25 წლის შემდეგ, თუ კაცობრიობის ცხოვრებას უხელმძღვანელებს ორგანიზებული მშვიდობიანობის პოლიტიკა. ჩვენ სულ უფრო და უფრო მეტად ეოახლოვდებით გადაწყვეტილებათა ჟამს. ჩხოლოდ მაქსიმალური სიბრძნით, მაქსიმალური ერთიანობითა და სიფხიზლით შეგძლებთ თავი გავართვათ ამ უმაგალითო პასუხისმგებლობას".

ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატის თავმჯდომარის ჯონსტონის განცხადება

ლონდონი, 11 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ერიკ ჯონსტონმა განაცხადა, რომ იგი რუსეთს მიემგზავრება, „რათა განიხილოს საბჭოთა კავშირის მომავალი სავაჭრო შესაძლებლობანი და შეიტყოს, თუ რა გავლენას მოახდენს რუსეთის ომისშემდგომ პოზიცია და მისი ვაჭრობა ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო მოქალაქეზე".

მუდმივი აღმასრულებელი ჯუნგის რეზოლუცია

ალჟირი, 11 აპრილი (საკდესი). მუდმივმა აღმასრულებელმა ჯუნტამ სორენტოში 8 აპრილს შემდგარ სხდომაზე როდინოს (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია) და სფორცას (მოქმედების პარტია) მონაწილეობით ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„აღმასრულებელმა ჯუნტამ, რომელიც შეიკრიბა იმისთვის, რომ განაგრძოს მუშაობა, რომელსაც იგი ეწევა ბარის კონგრესის დადგენილებათა შესაბამისად, განიხილა კომუნისტური პარტიის დეკლარაციის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური ვითარება და აღნიშნავს, რომ საჭიროა სასწრაფოდ და აუცილებლად შეიქმნას სამხედრო მთავრობა და რწმენას გამოსთქვამს, რომ ამ მხრივ გამოჩენილი თაოსნობა გამოიწვევს იტალიის ახლანდელი კრიზისის სრულ და სწრაფ გადაწყვეტას ისე, რომ არ დაველოდოთ რომის განთავისუფლებას".

საომარი მოქმედება იუგოსლავიაში

ლონდონი, 14 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ყველა ფრონტზე პატრულები მოქმედებდნენ.

მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა თავდასხმებს მტრის სამხედრო ობიექტებზე იტალიაში და იუგოსლავიის სანაპიროზე. საჰაერო ბრძოლებში მოსპობილია მოწინააღმდეგის 56 თვითმფრინავი. მოკავშირეებმა 19 მანქანა დაჰკარგეს.

მდგომარეობა სოფიაში

სტამბოლი, 13 აპრილი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, მოკავშირეთა თვითმფრინავების სოფიაზე თავდასხმის შედეგად, რაც 30 მარტს მოხდა, ქალაქმა ძლიერი ნგრევა განიცადა. ქალაქში გაჩენილი ხანძრები მნიშვნელოვნად გაძლიერა დაბომბვის შემდეგ ატეხილმა ქარბუქმა. მთავრობამ გადასწყვიტა მოახდინოს დედაქალაქის და გარეუბნების მოსახლეობის ევაკუაცია 40 კილომეტრი რადიუსით. ამ მიზნით შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მოხდენილია სოფიის და მისი მიდამოების მთელი ავტო-საჰაპანო ტრანსპორტის მობილიზაცია. ქალაქის მთავარ მაგისტრალებზე მოწყობილია საევაკუაციო პუნქტები. ყოველ ევაკოირებულს ნება აქვს თან წაიღოს სულ ბევრი ერთი ხელბარგი. ევაკუაციის სამმართველოს საშუალებით ხდება აგრეთვე კერძო ვაკრების საქონლის გატანა.

უცხოეთის ქრონიკა

არსებული ცნობებით, ესპანეთი და პორტუგალია გერმანიას აწოდებენ მის მიერ იმპორტირებული ვოლფრამის 90 პროცენტს.

სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების მოსაპოვებლად

ვინ რა ვალდებულება იკისრა

ქობულეთის რაიონი

ქობულეთელებმა 1944 წელს უხვი მოსავლის მისაღებად სოციალისტურ შეჯიბრებაში იკისრეს: გაზაფხულზე დაბარონ 3.468 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, შემოდგომაზე—1.416,8 ჰექტარი, 350 ჰექტარზე შეიტანონ ფოსფორიანი სასუქი, პლანტაციებში გაიყვანონ სადრენაჟო არხი 1.686.000 მეტრზე, ჩაის პლანტაციები გათოხნონ 4-ჯერ, კულტივაცია ჩაატარონ ხუთჯერ, თითოეულ ჰექტარ სრულმოსავლიან ჩაის პლანტაციაზე მიიღონ საშუალოდ 2.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 300 ტონა ფოთოლი.

რაიონის საბჭოთა მეურნეობებში შრომის ნაყოფიერებას გაადიდებენ 10 პროცენტით, თვითღირებულებას შეამცირებენ 5 პროცენტით, ციტრუსოვანთა დაზიანებული პლანტაციების აღსადგენად გამორგაკენ 66.550 ძირ ნერგს, დასამყნობად მოამზადებენ 227.000 ძირ ტრიფოლიატს და გეგმის გადამეტებით დამყნიან 20.000 ძირს. თითოეულ სრულმოსავლიან ხეზე მიიღებენ 20 კილოგრამ მანდარინს, 330 ცალ ლიმონს და ფორთოხალს. ტუნგოს მოსავლიანობას შარშანდელთან შედარებით გაზრდიან 150 ტონით, გააშენებენ ქარსაფარ ზოლს 45.000 მეტრზე, ხოლო ცოცხალ ღობეს — 15.500 მეტრზე, მარცვლოვან კულტურებს დასთესენ 2.600 ჰექტარზე. მშრომელებმა აგრეთვე იკისრეს გეგმის გადამეტებით მოიყვანონ მარცვლეული თავდაცვის ფონდისათვის 50 ჰექტარზე, წითელარმიელთა ოჯახების დასახმარებლად—25 ჰექტარზე, თითოეული ჰექტარიდან საშუალოდ მიიღონ 15 ცენტნერი სიმინდი;

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაადიდონ 2.750-მდე, წვრილფეხასი — 4.500-მდე, ცხენებისა — 160 სულამდე და შარშანდელთან შედარებით წველადობა გაადიდონ 10 პროცენტით. მოამზადონ 13 აგროტექნიკოსი, 8 მოანგარიშე, 7 ვეტერინარი ფერშალი და ამდენივე ზოოტექნიკოსი.

ქობულეთის რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ზუგდიდის რაიონი.

ჩოხატაურის რაიონი

ჩოხატაურში გეგმის გადამეტებით სიმინდი თავდაცვის ფონდისა და წითელარმიელთა ოჯახებზე დახმარებისათვის დაითესება 150 ჰექტარი, საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 13,5 ცენტნერ სიმინდს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერისა, ჩაის ფოთოლს თითოეულ ჰექტარზე, გეგმით გათვალისწინებულ 1.500 კილოგრამის ნაცვლად, მოჰკრეფენ 1.700 კილოგრამს, მეცხოველეობის ფერმებში ნამატს შეინარჩუნებენ 95 პროცენტით, სახელმწიფოსათვის ხორცის, ყველის, კვერცხის ჩაბარებათა გეგმებს შეასრულებენ 1 ნოემბრამდე.

სოფელ ძირგანახლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მედალოსანმა ნ. დოლიძემ კოლმეურნეთა სახელით პირობა დასდო, რომ სიმინდის თესვის გეგმას შეასრულებს გადაჭარბებით, ჰექტარზე, 13 ცენტნერის ნაცვლად, მიიღებს 14 ცენტნერ მარცვალს, სანიმუშოდ მოუვლის 79 ჰექტარ ჩაის პლანტაციას და გაზრდის მოსავლიანობას. სოფელ ნაკადულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მედალოსანმა ს. გაგუამ იკისრა აპრილში უზრუნველყოს კოლმეურნეობის მიერ სახელმწიფოსთვის ხორცის, ყველის, კვერცხის ჩაბარების წლიური გეგმის შესრულება, სიმინდი, 115 ჰექტარის ნაცვლად, დასთესოს 120 ჰექტარზე და გაზრდოს მოსავლიანობა.

ჩოხატაურის რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ლანჩხუთის რაიონი.

მაიაკოვსკის რაიონი

კოლმეურნეობებში გაეცნენ მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვას და ახალი ვალდებულებები იკისრეს. რაიონი სიმინდის ნათეს ფართობს გაადიდებს 230 ჰექტარით, თესვას დაამთავრებს 1-ლ მაისამდე, თითოეულ ჰექტარზე მიიღებს 13 ცენტნერ სიმინდს, 50 ცენტნერ ყურძენს, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების ნათეს ფართობს გაადიდებს 10 პროცენტით, ვადამდე შეასრულებს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას, თითოეულ კოლოფ თესლზე მიიღებს 43 კილოგრამ აბრეშუმის პარკს. მაიაკოვსკის სასოფლო საბჭომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია დიმისა და ფერსათის სასოფლო საბჭოები, „სამრეწველო" მაიაკოვსკის ქარხანამ — ამავე სისტემის ვანის ქარხანა, რაიაბრეშუმმა — ვანის რაიაბრეშუმი.

მოწინავე ელექტროსადგური

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატმა, განიხილეს რა სსრ კავშირის ელექტროსადგურების კოლექტივების შორის სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1944 წლის მარტის შედეგები, მეორე ადგილი მიაკუთვნეს ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესის) კოლექტივს. სადგურის სტახანოველები და წარმოების მოწინავე მეთაურები მარტში უწონო და უთავარო მუშაობისათვის დაჯილდოებული არიან წარჩინებულთა ნიშნებითა და ქების სიგელებით.

13 აპრილს ზაჰესში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი, მიძღვნილი სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოსვლისა და სადგურის მოწინავე ადამიანთა დაჯილდოებისადმი. მიტინგზე გამოსულმა—სადგურის დირექტორმა ამხ. ა. ხეთაგურმა, დისპეტჩერმა ნ. გავნიძემ, სტახანოველებმა ს. აფანასიევმა, ი. ჭოხონელიძემ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა ამხ. ა. პირტახიამ ზაჰესის კოლექტივს